სამშობლოს — 350.000 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი!

მადლობა შენ, მეჩაიის დაუღალავო მარჯვენავ!

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 შაბათი 2 ოქტომბერი № 232 (16662) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გულითადი მოლოცვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ზ. ა. პაპავრიძეს

გულითადად ვულოცავ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ჩაის მრეწველობის, დამამზადებელი, სატრანსპორტო ორგანიზაციების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მუშაკებს სახელმწიფოსათვის 350 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

მიღწეული წარმატებანი საქართველოს მეჩაიეთა თავდადებული შრომისა და გაზრდილი ოსტატობის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

დარწმუნებული ვარ, რომ კვლავაც გულმოდგინედ დანერგავთ ჩაის პლანტაციებსა და ფაბრიკებში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევებს, აითვისებთ ახალ მანქანებსა და პროგრესულ ტექნოლოგიურ ხერხებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩაის წარმოების შემდგომ გადიდებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების წარმატებით შესრულებას.

ლ. ბრეჟნევი

1976 წლის 29 სექტემბერი.

ჩვენი მწვანე პლანტაციების განთქმული ოსტატები

თამარ ყუფუნია.

დარეჯან ტაკიძე.

ტატიანა ჩხაიძე.

ალექსანდრა ვოუბა.

ასმათ ჯიჯავაძე.

ტატიანა ტუეგუჩავა.

საქართველოს მეჩაიეებმა

საშობლოსათვის მიცემული სიტყვა შეასრულეს

1 ოქტომბერს სოხუმში გაიმართა საქართველოს მეჩაიეთა მიტინგი, რომელიც მოწყო საქართველოს მეჩაიეთა მიერ ნაკისრი გადიდებული ვალდებულებების შესრულების გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალოცი დეპეშის მიღებასთან დაკავშირებით.

მიტინგის პრეზიდიუმში იყვნენ **პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ე. ა. შევარდნაძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ნ. ა. ჭითანავა, ე. კ. შარტავა.**

მიტინგს დაესწრნენ მეჩაიეობის რაიონების პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს აღკკ საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების უფროსები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, ჩაის ფაბრიკებისა და გაერთიანებების დირექტორები, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მოწინავე მეჩაიეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. ა. პატარიძემ.**

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ე. ა. შევარდნაძეს.**

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ შესანიშნავ ხანაში ვცხოვრობთ: ცხოვრების ყოველ დღეს ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავყავართ — ეს სკკპ XXV ყრილობის იდეები, ყრილობის რევოლუციური შემოქმედებითი სულისკვეთება **ისახავს** ხორცს პარტიის საქმეებში, მთელი ხალხის საქმეებში.

სულ რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საქართველოს მეჩაიეთა დიდი გამარჯვება უპატაკა. სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა შესრულებულია! ახალი გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც საქართველოს მეჩაიეებმა იკისრეს ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გამოსვლის პასუხად, განხორციელდა! მეათე ხუთწლედის პირველი წელი ჩაის პლანტაციების მშრომელებმა ახალი შესანიშნავი გამარჯვებით აღნიშნეს. მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 350 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

და აი ახლა მოსკოვიდან, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისაგან მივიღეთ საქართველოს მეჩაიეებისადმი მილოცვის დეპეშა.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დავალებით წავიკითხო ამ მილოცვის ტექსტი.

(ამხ. შევარდნაძე კითხულობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის დეპეშის ტექსტს).

ამხანაგებო, ვფიქრობ, დღევანდელ მიტინგზე შეკრებილნი, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის საერთო აზრს, საერთო გრძნობას გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოლოცვის გულითადი სიტყვები შთაგონებენ საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს, სიამაყით, შესრულებული მოვალეობის შეგნებით ავსებენ ჩვენს გულს, თვითეულ ჩვენგანს უნერგავენ მტკიცე რწმენას, რომ მეათე ხუთ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

სოხუმი. 1976 წლის 1 ოქტომბერი. საქართველოს მეჩაიეთა მიტინგი. ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. ი. ჭოხონელიძის ტელეფოტო. (სატელეფოტო ფოტოქრონიკა).

მოსკოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

დიდი დღესასწაული მოვიდა საქართველოს მიწა-წყალზე. იგი გამოიწვია თქვენმა წერილმა, ლეონიდ ილიას-ძე, თქვენმა გულთბილმა მისალმებამ სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი, მეჩაიეებისადმი, ჩაის მრეწველობის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების მუშაკებისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ რეკორდული მოსავალი მოვიწიეთ და შევასრულეთ სოციალისტური ვალდებულებები — მეათე ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოს მივყიდეთ 350 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩვენ, მიტინგის მონაწილეებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთან კოლექტივების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების წარმომადგენლებს აღგვაფრთოვანებს და გვახარებს თქვენი სიტყვები, რომ მიღწეული წარმატება ჩვენი მეჩაიეების თავდადებული შრომისა და გაზრდილი ოსტატობის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

საქართველოს კომუნისტები, ყველა შრომელი გულითად მადლობას გიძღვნიან თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე, ახალი წარმატებანი რომ უსურვეთ ხოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში. ეს ახალ ძალასა და ენერგიას გვმატებს პარტიისა და მთავრობის ყველა დავალების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ამჟამად რესპუბლიკაში, ყველა შრომითს კოლექტივში დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა ხუფევს. ეს იმის შედეგია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე, ჭეშმარიტად ლენინურად ზრუნავთ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისათვის, ხალხის კულტურის აყვავებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

შემოქმედებითი და საქმიანი ვითარების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის ისტორიულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ.

ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე წარმოთქმულ თქვენს სიტყვაში ჩამოყენებული ამოცანები და დიდმნიშვნელოვანი მითითებანი აღგვაფრთოვანებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, ინდუსტრიულ საფუძველზე მისი გადაყვანისათვის.

მეჩაიეობაში და ჩაის მრეწველობაში განუხრელად შესრულდება თქვენი რჩევა-დარიგებანი, რომ მეჩაიეობაში ბიჯითად დავნერგოთ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, ავითვისოთ ახალი მანქანები და პროგრესული ტექნოლოგიური ხერხები, რომლებიც ჩაის წარმოების შემდგომ გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე, მტკიცე სიტყვას გაძლევთ, რომ დამკვრელური შრომით წარმატებას მივაღწევთ ნახალხო მეურნეობის ყველა დარგში, შევასრულებთ მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებებს სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე!

გულითადად, გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის საქმეში ჩვენი მძლავრი ხამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

მიღებულია საქართველოს მეჩაიეთა მიტინგზე 1976 წლის 1 ოქტომბერს

1 ოქტომბერი

„პრავდის" ფურცლებზე

ვისწავლოთ ლენინიზმი

გუშინ მილიონობითი სბპ-თა ადამიანმა, კომუნისტმა და უპარტიომ უდიდესი აღფრთოვანებით დაიწყო მეცადინეობა პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში.

„მეცადინეობის დაწყება მუდამ დიდი მოვლენაა პარტიის, ყველა მისი ორგანიზაციის, აგრეთვე შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში, — ნათქვამია მოწინავე წერილში „ვისწავლოთ ლენინიზმი". მარქსიზმ-ლენინიზმის მასობრივი შესწავლა თანამედროვე ეტაპზე ხაზგადმფრთხილი შეგნების განვითარების უმნიშვნელოვანეს თავისებურებად გადაიქცა. წლევანდელი სასწავლო წელი საგულისხმო მოა იმით, რომ ღრმად უნდა დავეუფლოთ სკკპ XXV ყრილობის იდეურ-თეორიულ სიმდიდრეს, უდიდეს პოლიტიკურ გამოცდილებას, რომელიც აკუმულირებულია მის გადაწყვეტილებებსა და დოკუმენტებში, ფასდაუდებელ შემოქმედებითს წვლილს, რომელიც ყრილობამ შეიტანა მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში...

დასახული მიზნის მისაღწევად მოქმედების კონკრეტული პროგრამა გახდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაჲ „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ". ხელმძღვანელობენ რა ამ დადგენილებით, პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან პროპაგანდისტთა და მსმენელთა მთავარი ყურადღება მიაპყრონ იმას, რომ საფუძვლიანად შეისწავლონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგი", ყრილობის სხვა მასალები".

გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს სოციალისტური შეჯიბრების დღიურს, რუბრიკით — „მოსავლის ესტაფეტა: ვამოცდილება და პრობლემები" — პირველ-მეორე გვერდებზე გამოქვეყნებულია „პრავდის" სპეციალური კორესპონდენტების **ვ. ბელოუსოვის, ნ. გლადკოვისა** და **ი. მუკიმოვის რეპორტაჟი** უზბეკეთიდან „ბამბის კონვეიერის რკოლები". მეორე გვერდზე დაბეჭდილია განყოფილება „პარტიული ცხოვრება", რომელშიც მოთავსებულია მასალები პარტიოლი და ეკონომიური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყების გამო. აქვე მკითხველები გაეცნობიან ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის **ვ. ზატვანის** წერილს „**მზა ობიექტისათვის**" (მართვა, მეცნიერება და პრაქტიკა). იგი ეხება მშენებლობის მართვის ეკონომიური მექანიზმის სრულყოფას. მესამე გვერდზე რუბრიკით „მწერლის დღიურიდან" გამოქვეყნებულ წერილში **ნიკოლოზ გორბაჩოვი** მკითხველებს ესაუბრება აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ქალაქ ლენინოგორსკის მაღაროელებზე; „პრავდის" სპეციალური კორესპონდენტები **ა. ილინი** და **ნ. უტკინი** მოგვითხრობენ „**ორბიტის**" **სატელევიზიო გადაცემაზე.**

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა რ. კასტროს

1 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** შეხვედრა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანთან **რ. კასტროსთან,** რომელმაც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან გზად საბჭოთა კავშირში გამოიარა.

ამხანაგებმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** და **რ. კასტრომ** აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-კუბის ყოვლისმხრივი ძმური თანამშრომლობა და ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მისი შემდგომი გაფართოება-გაღრმავების ზოგიერთ საკითხზე. შეხვედრის დროს იმსჯელეს ოგრეთვე მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებულ მეცადინეობასთან საერთაშორისო უშიშროების დამკვიდრებისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებისათვის, სოციალიზმის ქვეყნების და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობის გაღრმავებისათვის.

შეხვედრამ გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **კ. ვ. რუბაკოვი** და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კუბის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **ხ. ადიერე დელ კრისტო.**

(საკ. ფოსი).

გვინეის დემოკრატიული პარტიის გენერალურ მდივანს, გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ აჰმედ სეკუ ჭურეს

გვინეის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-18 წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა ხალხის სახელით თქვენ, გვინეის დემოკრატიულ პარტიას, მთავრობასა და მთელ გვინეელ ხალხს გულითადად ვულოცავთ და ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

გულთბილი მეგობრული გრძნობით აღნიშნავენ საბჭოთა ადამიანები პროგრესულ ცვლილებებს გვინეელი ხალხის ცხოვრებაში და გულწრფელად ახარებთ მისი მიღწევები სამშობლოს დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცების, სოციალური, ეკონომიური და კულტურული განვითარების დონის ამაღლების საქმეში. საბჭოთა კავშირში დიდი სიმპათიით ეკიდებიან გვინეის რესპუბლიკის ბრძოლას იმპერიალიზმის ნრიკების წინააღმდეგ, აფრიკის კონტინენტზე კოლონიალიზმისა და რასიზმის ყოველგვარი ნაშთის ლიკვიდაციისათვის.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ქვეყნების, პარტიებისა და ხალხების მეგობრობისა და ფართო თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთო ძირეული მისწრაფებები — მშვიდობისა და თავისუფლებისადმი ერთგულება, ყოველგვარი ფორმის აგრესიის, ბატონობისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობა — კვლავაც წარმატებით განვითარდება და გაღრმავდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი მთელი ძალების შესაკავშირებლად.

ლ. ბრეჟნევი ნ. პოდგორნი ა. კოსიგინი

ორენბურგელთა დიდი გამარჯვება

ორენბურგის ოლქის მხვნელ-მთესველებმა წარმატებით შეასრულეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, სახელმწიფოს მიყიდეს 5 მილიონი ტონა მარცვლეული

პურის მიმღებ პუნქტებში მიტანილი 3,5 მილიონი ტონა ხორბლიდან მილიონზე მეტი ღონიერი ჯიშისა და თავთუხის მარცვალია. შესრულდება წიწიბურისა და ფეტვის შესყიდვის გეგმა. სახელმწიფო რესურსებად დამზადებულია 630 ათასი ტონა მაღალი კლასის ჯიშიანი თესლი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1976 წლის 30 სექტემბერს 66 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ ხაზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ნიკოლოზ ერმილეს-ძე ჭახრაკია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

მადლობა შენ, მეჩაიის დაუღალავი მარჯვენავ!

საქართველოს მეჩაიეებმა სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა შეასრულეს

(დასასრული)

წლების პირველი წლის დავალება, ისევე, როგორც მთელი ხუთწლედის გეგმა, წარმატებით შესრულდება, პირნათლად განხორციელდება, რეალურ პრაქტიკულ საქმეებად იქცევა.

ჩვენს დღევანდელ ზეიმს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ ეს ლეონიდ ილიას-ძის პირველი მილოცვა არ არის საქართველოს მეჩაიეებისადმი. თქვენ კარგად გახსოვთ, რომ ზუსტად ორი წლ ს წინათ საქართველოს მეჩაიეებმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის პირველი მილოცვა მიიღეს. მაშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ბათუმში შევკრიბეთ მიტინგზე. იმ დროს სახელმწიფოს 312.2 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიეყიდა. მაშინ ეს რეკორდული მოსავალი იყო.

ასე იყო ორი წლის წინათ, ახლანდელ 1976 წელს, მეათე ხუთწლედის პირველ წელს კი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. რომლებიც სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობებს ახორციელებენ. სახელმწიფოს უკვე 350.000 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიჰყიდეს. ეს მართლაც რომ უდიდესი გამარჯვებაა საქართველოს მეჩაიეებისა, ეს ჭეშმარიტად რეკორდული მოსავალია!

დიახ, ორ წელიწადში პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ორი გულითადი მოლოცვა! და ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტია და საბჭოთა მთავრობა, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ჩვენს სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებას. ამის შეგნებამ. ამის გაგებამ ახალი ძალები, ახალი ენერგია უნდა შეგვმატოს მეჩაიეობის განვითარების უფრო მაღალი მიჯნებისათვის ბრძოლაში.

თუ თვალს გავადევნებთ, როგორ იზრდებოდა ჩაის ფოთლის დამზადება წლიდან წლამდე, მეცხრე ხუთწლედის ზრდის მრუდი ამგვარად გამოიყურება:

1971	წელს დამზადდა	265.8	ათასი ტონა;
1972	წელს —	276.4	ათასი ტონა;
1973	წელს —	289.4	ათასი ტონა;
1974	წელს —	312.2	ათასი ტონა;
1975	წელს —	334.6	ათასი ტონა.

როგორც ზედავთ, ყოველ მოცემულ წელს ჩაის ფოთლის დამზადება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა რეკორდული იყო. და, ბოლოს, 1976 წელი — ყველა რეკორდული წლიდან ყველაზე რეკორდულ წელს — დამზადებულია 350 ათას ტონაზე მეტი. თანაც ჩაის ფოთლის დამზადება გრძელდება.

დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ წელს 355 ათას ტონა „მწვანე ოქროს“ დავამზადებთ.

ვინ იცის, შესაძლოა — და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეც იქნება—გაისად ახალი, კიდევ უფრო მაღალი რეკორდი დამყარდეს. და თუ საქართველოს მეჩაიეებისადმი ლეონიდ ილიას-ძის პირველმა მილოცვამ ყველანი სახელოვან ბათუმში — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში შეგვყარა, დღევანდელ გამარჯვებას კი მზიურ სოხუმში — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში ვზეიმობთ, ახალ რეკორდს ჩვენ, ალბათ, გაისად მახარაძეში ვაღნიშნავთ — ეს მახარაძელებმა თავიანთი თავდადებული შრომით დაიმსახურეს. მაგრამ არც ქუთაისელებს, არც ზუგდიდელებს ეს არ უნდა ეწყინთ — ამ ქალაქებშიაც შეკრებილან მეჩაიეები, და არაერთხელ, როცა პრაქტიკულ დონისძიებებზე მსჯელობდნენ, ახალ მიჯნებს სახავდნენ, „მწვანე ოქროს“ მოპოვების შემდგომი აღმავლობის პერსპექტიულ პროგრამას განიხილავდნენ. და ყოველივე ამას იმიტომ ვიხსენებთ, რომ ყველა მოპოვებულ გამარჯვებაში ჩვენი სახელოვანი მეჩაიეების უდიდესი შაგონებული შრომაა ჩაქსოვილი. სწორედ ამიტომ მათ, მწვანე პლანტაციების დაუცხრომელ მშრომელებს მიმართავენ დღეს გულითადი მილოცვისა და უდიდესი მადლიერების პირველი სიტყვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო.

ჩვენი პირველი სიტყვა მეჩაიეებს ეკუთვნით, რადგან ვიცით, რა რთულ, რა ძნელ პირობებში უხდებათ მუშაობა, ვიცით, ძალებისა და ნებისყოფის როგორი დაძაბვა, როგორი გმირობა და ვაჟკაცობა, შეუპოვრობა და სიბეჯითეა საჭირო თვითეული ტონა, თვითეული კილოგრამი ზეგეგმითი ჩაის მოსაკრეფად.

ი რატომ არის, რომ ასეთი თაყვანისცემით, ასეთი დიდი პატივისცემით ვიხსენებთ ჩვენი სოფლის მშრომელების გამარჯვებას. ჩვენი მდაბალი სალამი და გულითადი მადლობა შენ, მეჩაიის დაუღალავო მარჯვენავ!

სწორედ ასეთი თაყვანისცემით არის გამსჭვალული რესპუბლიკის მეჩაიეებისადმი დიდი საბჭოთა მწერლის მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვის მიმართვა. საქართველოში მისი ყოფნის დღეებში: „ჩემდა სამარცხვინოდ, საქართველოში ჩამოსვლამდე არ ვიცოდი, რა ძნელი ყოფილა თქვენი შრომა. ამიტომაც განსაკუთრებულ სალამს გიძღვნით და გულითადად გეხვევით“.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეებმა მ. ა. შოლოხოვი კოლმეურნეობის საპატიო წევრად აირჩიეს. დღეს კი გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულია მისი ახალი მილოცვა: „მიხარია საქართველოს მეჩაიეთა წარმატება. გეხვევით, მიხეილ შოლოხოვი“.

ჩაის, როგორც ცნობილია, ბევრი ძვირფასი თვისება აქვს. მათ შორის ისიც, რომ ამხნევებს ადამიანს. მაგრამ დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ როცა ჩაის კრეფა გახურებული იყო, ძილისთვის არ ეცალათ არც ჩვენს მეჩაიეებს, არც მეჩაიეობის რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებს. და მათ ალბათ გასამხნევებლად და გამოსაფხიზლებლად ჩაის სმა არ სჭირდებოდათ. მგონია, რომ ჩაის სასმელად მათ უბრალოდ არ ეცალათ. დიდი ჩაისათვის ბრძოლა უფრო გამამხნევებელი საშუალება აღმოჩნდა, ვიდრე თვით ჩაის ნაყენი.

თავის მილოცვაში ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი წერს მიღწეული წარმატებები საქართველოს მეჩაიეთა თავდადებული შრომისა და გაზრდილი ოსტატობის შედეგიაო.

ამიტომ უწინარეს ყოვლისა გვინდა დავასახელოთ მწვანე პლანტაციების განთქმული ოსტატები, შესანიშნავი ვეტერანები — ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია, სოციალისტური შრომის გმირები დარეჯან ტაკიძე, ტატიანა ჩხაიძე, ალექსანდრა ვოუბა, ასმათ ჯიჯავაძე, ანეტა ხურციძე, ტატიანა ტყებუჩავა.

ჩაის ცნობილი ოსტატების თანავარსკვლავედში მკაფიოდ აელვარდა ქართველ მეჩაიეთა ახალგაზრდა თაობის სახელები. ესენი არიან გალელი მზია გუთბაია, ქობულეთელი ემინე ზაქარიაძე, ხელვაჩაურელი ხევა არჯევანიძე, მახარაძელი გარპინა შაბლიცკაია, ზუგდიდელი სულიკო ჭიორელია, წალენჯიხელი თალიკო შანავა, გეგეჭკორელი ლუდიკო ბართია, ჩხოროწყუელი ეთერ ცირამუა, ლანჩხუთელი ნორა სარიშვილი, ცხაკაიელი ციალა ნოდია, წყალტუბელი ნანული ჯიმკარიანი, წულუკიძელი ანგელინა ჩომახიძე, ტყიბულელი ზინა ფორჩხიძე და ხობელი ეთერ ღურწკაია, ხიხატაურელი მაკლინა ყაჭეიშვილი.

საგანგებოდ მინდა მოვიხსენო მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის წარჩინებული მკრეფავი ამირან ტოროტაძე, რომელიც ლამის ჩაის საკრეფ მანქანას ეჯიბრება, იმდენად სწრაფად და ბევრ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი წერს: მიღწეული წარმატებები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის გაწეული დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგიაო.

და დღეს, როცა აღვნიშნავთ წვლილს, რომელიც მოპოვებულ გამარჯვებაში შეიტანეს ყველა მეჩაიეობის რაიონის მშრომელებმა (სამწუხაროდ, ყველას ვერ დავასახელებთ — ისინი ათიათასობით არიან), ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ იმ გამიზნულ და თანამიმდევრულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაზე, რომელიც იმ გამარჯვების მისაღწევად გასწიეს საოლქო, რაიონულმა და საქალაქო პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

დღეს ჩვენ დიდი მადლობისა და მადლიერების სიტყვებით მივმართავთ აფხაზეთის (პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. ხინთბა, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. საყვარელიძე), აჭარის (პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პაპუნაძე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ჯაში), მახარაძის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ე. მალაზონინი, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ო. თენეიშვილი), ზუგდიდის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ი. თოდუა, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. კუტალია), წალენჯიხის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გ. ნაკეკორია, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ჭანტურია), გეგეჭკორის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. გვარჯალაძე, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კ. ასათიანი), ჩხოროწყუს რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. კ. ქაჯაია, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. თოდუა), ლანჩხუთის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ო. მენაბდე, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. რ. ებრალიძე), ჩოხატაურის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. თ. იმედაძე, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. ცინცაძე), ცხაკაიის რაიონის (პარტიის რაკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. ესვანჯია, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. კარტოზია), წყალტუბოს ზონის (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. დ. კიკნაძე, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. რ. კახიანი), წულუკიძის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. კურცხალია, აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. ო. ყურაშვილი), ტყიბულის ზონის (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გ. ფხაკაძე, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ცნობილაძე); ხობის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ნადარაია, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლ. ბუკია), სამტრედიის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შ. ცაგარეიშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. მანჯგალაძე), თერჯოლის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ბურჯანაძე, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ხუჯაძე); ჭიათურის ზონის (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თ. მარგველაშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ო. გოგატიშვილი), ვანის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დ. ახმეტელი, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. დვალიშვილი), აბაშის რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გ. მგელაძე, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ჭანტურია) მეჩაიეებს.

ვიმეორებ, ამხანაგებო: დღეს საჭიროდ მიგვაჩნია დავასახელოთ ყველა რაიონი, ყველა რეგიონი, სადაც მოჰყავთ და კრეფენ ჩაის. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ ყველა პარტიული ორგანიზაცია, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, დავასახელოთ ყველა პარტიული კომიტეტის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე, რადგან ყოველი ტონა ჩაი მათ თავდადებულ და ბეჯით შრომასაც შეიცავს.

დიდად გაისარჯნენ ამ გამარჯვებისათვის ბრიგადირები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, აგრონომები, აგრომექანიკოსები, კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკები.

დღეს ჩვენ დიდი კმაყოფილებს გრძნობით ვასახელებთ ჩაის პლანტაციების ჩვენს შესანიშნავ მექანიზატორებს, რომელთა კეთილშობილურმა შრომამ ბევრად შეუწყო ხელი რესპუბლიკად მეჩაიეთა საერთო წარმატებას. აქ არიან ვეტერანებიც და ახალგაზრდობაც: ზუგდიდელები ვალერიან მეუნარგია და ჯუმბერ ჩაბალუნა, წალენჯიხელი კლიმენტი ლაშხი, მახარაძელი ხაერ ურუშაძე, ქობულეთელი სულიკო ქათამაძე, გუდაუთელი ლეონიდე ჩამაღუა, გალელი რომან ღურწკაია, გულრიფშელი ბენიკ კესანი, ოჩამჩირელი ვალერი კაკალია, წყალტუბოელი მიხეილ სულაქველიძე და ბევრი სხვა.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ჩვენი მექანიზატორი ქალიშვილები — გალელი ნაზიბროლა ხასაია, ლანჩხუთელი ნანული აროველაძის, გეგეჭკორელი მაგული ლეკიშვილისა და სხვათა გმირული შრომა.

დღეს ჩვენ მადლობის სიტყვებით მივმართავთ ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს სახელოვან კომკავშირელებს და ოქტომბრელებსაც კი, რომლებმაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს საქართველოს მეჩაიეთა შესანიშნავ გამარჯვებაში.

მწვანე პლანტაციებში დიდი და პასუხსაგები ამოცანის ღირმა შეგნებით, ახალგაზრდული ხალისით შრომობდა 85 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მათი ხელით მოიკრიფა და ჩაბარდა სახელმწიფოს 200.000 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

თავიანთი ღირსეული სიტყვა თქვეს ავრეთვე რესპუბლიკის მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. „მესამე შრომითმა სემესტრმა“, „მეხუთე შრომითმა მეოთხედმა“ ჩაის ფოთლის კრეფაში გაიარეთიანა 20 ათასამდე მოსწავლე, დაახლოებით 4 ათასი სტუდენტი და ტექნიკუმების მოწაფე. 15 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩაბარეს სახელმწიფოს თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, რუსთაველის პოლიტექნიკური ტექნიკუმის, თბილისის სამბიბლიოთეკო სასწავლებლისა და ბევრი სხვა სასწავლებლის კომკავშირელებმა.

დღეს ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ჩაიზე ზრუნვა ჭეშმარიტად ჩვენი საერთო-სახალხო საზრუნავი გახდა. ეს საზრუნავი ამოძრავებს რესპუბლიკის ყველა მშრომელს. ეს სულაც არ არის გასაოცარი, რომ ყველას უნდოდა საკუთარი ხელით მოეკრიფა ჩაის ფოთოლი, უშუალო მონაწილეობა მიეღო მეჩაიეთა დიდ გამარჯვებაში. სწორედ ამ სურვილმა გაიყვანა ჩაის პლანტაციებში საჩხერის, ბაშურის, ახალციხის, ახალქალაქის, მესტიის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, ცაგერის, ზესტაფონისა და სხვა რაიონების მშრომელები. აქედან 5.000-ზე მეტი კაცი ჩამოვიდა. ისინი მეჩაიეების მხარდამხარ, მათს გვერდით, მათთან ერთად შრომობდნენ და ბევრი ჩაიც მოკრიფეს.

როცა ჯეროვან პატივს მივაგებთ ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს, ამასთანავე სავანგებოდ აღვნიშნავთ, რომ ჩაის ფრონტზე გამარჯვება მოპოვებულია ბევრი მშრომელის — არა მარტო კოლმეურნე გლეხობის, არამედ მუშათა კლასის, ჩვენი ინტელიგენციის, ჩვენი სახელოვანი მეცნიერების ერთობლივი გარჯის მეოხებით.

რესპუბლიკის მეცნიერთა და კონსტრუქტორთა გაერთიანებული მეცადინეობით შეიქმნა კომპლექსი მანქანების, რომლებმაც გაიარეს სახელმწიფო გამოცდა და ხელს შეუწყობენ სამთო მეჩაიეობაში წრომატევადი პროცესების მექანიზაციას. შემუშავებული და თვისებულია იმ აპარატების წარმოება, რომლებიც კიდევ უფრო აამაღლებენ ბარის მეჩაიეობის მექანიზაციის დონეს.

წელს რესპუბლიკის მანქანათსაშენებელმა საწარმოებმა მეჩაიეობის რაიონების მშრომელებს მისცეს ბევრი ჩაის საკრეფი მანქანა, ჩაის სასხლავი აპარატი.

საერთო ანგარიშით მიმდინარე სეზონში ჩაის ფოთლის კრეფაზე მუშაობდა დაახლოებით 1000 ჩაისსაკრეფი მანქანა და 2.500-ზე მეტი ხელის აპარატი. მექანიზებული წესით მოიკრიფა 50.000 ტონაზე მეტი ფოთოლი, რაც 65 პროცენტით სჭარბობს შარშანდელ დონეს.

მაგრამ ჩასაბარებელი ნედლეულის საერთო მოცულობაში მექანიზებული კრეფის ხვედრითი წონა ჯერ კიდევ ძალიან დაბალია, იგი 14 პროცენტს არ აღემატება.

ამ მხრივ შედარებით უკეთ არის საქმე რესპუბლიკის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებში. მცირე მექანიზებული კრეფის ხვედრითმა წონამ ჩაის ნედლეულის წარმოების საერთო მოცულობაში 49 პროცენტს მიაღწია, ხოლო ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია.

სოფლის მეურნეობის მშრომელებთან ერთად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა გულითადად მიულოცა ჩაის მრეწველობის მუშაკებს. და ჩვენ არ შეგვიძლია დღეს კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ გადამუშავებელი მრეწველობის მუშაკები, ჩაის ფაბრიკების კოლექტივები, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ამოცანა და ბევრი რამ გააკეთეს საიმისოდ, რომ უზრუნველეყოთ ჩაის ფოთლის შეუფერხებელი და ხარისხობრივი გადამუშავება. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საწარმოო სიმძლავრენი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დღე-ღამეში დამატებით გადამუშავდეს 1 000 ტონა ჩაის ფოთოლი, ეს კი მთელი ჩვენი სიმძლავრეების მეშვიდედს შეადგენს. რეკონსტრუირებულია გუდაუთის, ოჩამჩირის № 1, ჩოხატაურის, ნაგომარის, ნასაკირალის და სხვა ჩაის ფაბრიკები, რისი მეოხებითაც მათი საწარმოო სიმძლავრენი თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა. ახალი მექანიზებული ჩაის ფაბრიკა აშენდა შემოქმედში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს დიდი დახმარება.

ჩაის ფაბრიკებმა ახალი ტექნიკური აღჭურვილობა მიიღეს. გამოცვლეს და დამატებით დააყენეს 1 000-მდე ერთეული ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობა. 32 ჩაის ფაბრიკაში დაინერგა ორნაკადოვანი სისტემა, რაც პირველი და მეორე ხარისხის ჩაის დიფერენცირებულ გადამუშავებასთან ერთად უზრუნველყოფს შავი და მწვანე ჩაის პარალელურ გამომუშავებას.

იმას, თუ რამდენად უკეთ არის წელს ორგანიზებული ჩაის ფოთლის გადამუშავება, მოწმობს, თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ სეზონში შეუფერხებლად და ხარისხოვნად მუშავდებოდა დაახლოებით 7.300 ტონა ჩაი დღე-ღამეში, მაშინ, როდესაც შარშან, — ჩვენ ეს, ამხანაგებო, კარგად გვახსოვს, — ნედლეულის მაქსიმალური „პიკ-შემოსვლის“ პერიოდში სერიოზული სიძნელეები იქმნებოდა ხოლმე, როცა დღე-ღამეში 6.000 ტონაზე ნაკლები ნედლეული უნდა გადაემუშავებინათ.

როცა ჩაის ფოთლის კრეფის მოწინავეებზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისეთი საწარმოო კოლექტივების, ჩაის ფაბრიკების გაერთიანებათა წარმატებული მუშაობა, როგორიცაა გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკების გაერთიანება (გენერალური დირექტორი ამხ. გ. ჯალანია, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. გალდავა), წყალტუბოს გაერთიანება (გენერალური დირექტორი ამხ. გ. სარიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. რ. ტყაბლაძე). მეორე კვარტალში მუშაობის შედეგებისათვის ამ გაერთიანებებს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭა.

თავი ისახელეს ავრეთვე სხვა ისეთი საწარმოო გაერთიანებების კოლექტივებმა, როგორიცაა ჩოხატაურის (გენერალური დირექტორი ამხ. მ. ყლიტი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. სულაბერიძე), მახარაძის (გენერალური დირექტორი ამხ. გ. ბაბალოძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. ჯახუტაშვილი) და სხვა გაერთიანებანი, აგრეთვე თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი ამხ. შ. ჯიჯარიანი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. ჩიგოგიძე).

კარგ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია წლეულს გალის № 1 ჩაის ფაბრიკის ბრიგადირმა ნინო ჩხეკელმა, ოჩამჩირის № 1 ჩაის ფაბრიკის მშრომელმა ალექსანდრა კურდიუკოვამ. ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის დამხარისხებელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბაბუცა ლაგვილავამ, წყალტუბოს ჩაის ფაბრიკის დამხარისხებელმა ქეთევან უგულავამ. გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკის დამხარისხებელმა პარმენ ბაგიშვილმა და სხვა ამხანაგებმა.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ჩაის პლანტაციებსა და ფაბრიკებში კვლავაც გახუხრელად დაინერგება მეცნიერების და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, აითვისებენ ახალ მანქანებსა და პროგრესულ ტექნოლოგიურ ხერხებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩაის წარმოების შემდგომ ზრდას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

დღეს ჩვენ მატნენის ყველა მონაწილის სახელით აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, ჩაის მრეწველობის მუშაკები ღირსეულად გაართმევენ თავს ამ ამოცანებსაც და მთლიანად გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედებს.

მისასალმებელ დეპეშაში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გულითადად ულოცავს დამამზადებელი, სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკებს.

დღეს შეგვიძლია კმაყოფილებით ვთქვათ, რომ მოსავლის ბედი ბევრად განსაზღვრა სატრანსპორტო კონვეიერის აწყობილმა მუშაობამ. რესპუბლიკის ავტოტრანსპორტელებმა უზრუნველყვეს ჩაის ფოთლის შეუფერხებელი მოწოდება პლანტაციებიდან ფაბრიკებში, მერე კი დადამუშავებული ჩაის მიტანა ჩაის საწონ საწარმოებში. იმის თქმა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამ საშუალის შესრულებას ყველაზე მოკლე ვადაში, საჭირო არ უნდა იყოს: საკმარისია ოდნავი დაყოვნება, და ჩაის ფოთოლს მაშინვე უუარესდება ხოლმე ხარისხი. ჩაის გადასაზიდად საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტრომ გამოყო ავტოკოლონებად გაერთიანებული ბევრი სატვირთო ავტომობილი, რომლებიც ჩაის ფაბრიკებზე იყო მიმაგრებული.

წელს სამინისტროს ავტოკოლონებმა გადაზიდეს 250 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ე. ი. 25 ათასი ტონით მეტი გასული წლის ამავე პეროდთან შედარებით.

მოპოვებულ გამარჯვებაში საგრძნობი წვლილი შეიტანეს „საქსოფლტექნიკის“ სარემონტო და მომმარაგებელმა სამსახურებმა, ტრანსპორტის მუშაკებმა, მექანიზატორებმა. „საქსოფლტექნიკამ“ უზრუნველყო 280 ათასი ტონა მინერალური სასუქის დროული მიტანა ჩაის პლანტაციებში, ჩაის ასაღები, აგრეთვე მთელი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდება და აწყობილი მუშაობა, დაახლოებით 20 ათასი ტონა ჩაის ფოთოლის გადაზიდვა.

გულთან ახლოს მიიტანა ჩაის დამზადების გეგმისა და სოციალისტური ვალდებულების შესრულების ბედი რესპუბლიკის შემოქმედმა ინტელიგენციამ, რომელიც სულ უფრო მეტად გრძნობს თავს რესპუბლიკაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიური პროცესების მონაწილედ.

სულ უფრო მჭიდრო ხდება მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, თეატრისა და კინოს მუშაკების კავშირი შრომითს კოლექტივებთან. ყველას ახსოვს გასული წლის ივნისში გამართული საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში, დაუვიწყარია ამ დღეების მონაწილეთა შეხვედრები რესპუბლიკის მეჩაიეებთან, მადლი შეფასება, რომელიც მათს გარჯას მისცეს.

დიდი ჩაისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზეა ჩვენი პრესა. რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთები, ტელევიზია და რადიო ბევრ რამეს აკეთებენ იმისათვის, რომ გაიზარდოს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება, გაუჭობესდეს მისი ხარისხი, მეჩაიეთა ფართო მასების კუთვნილებად გადაიქცეს მოწინავეთა გამოცდილება.

ჩვენი მეჩაიეებისათვის იზრუნეს ვაჭრობის მუშაკებმაც. წლევანდელი სეზონისათვის დროულად მოემზადნენ ჩვენი კოოპერატორებიც.

არც საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკები ჩამორჩნენ.

ამრიგად ოქტომბლიაში ღონისძიებათა კომპლექსი განხორციელდა, რომ საქართველოს მეჩაიეებს წელს რეკორდული მაჩვენებლებისათვის მიეღწიათ ჩაის ფოთლის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. და ეს რეკორდული მაჩვენებლები მიღწეულია. ამიტომ ჩვენ დღეს ვაცხადებთ:

დიდება ჩაის პლანტაციების გმირს!

მაგრამ ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მიღწეული მიჯნა ზღვარი არ არის! არ უნდა დავჯერდეთ მიღწეულს, ვიბრძოლოთ ახალი წარმატებებისათვის, გავახაროთ სამშობლო კიდევ უფრო უხვი მოსავლით. გაისად ჩვენ არა მარტო უნდა განვამტკიცოთ ხუთწლედის ბოლოსათვის დასახული მიჯნა, არამედ დადავჭარბოთ კიდეც მას! ამიტომ ჩვენმა მეჩაიეებმა კიდევ უფრო უნდა დახვეწონ ოსტატობა, უფრო სრულად გამოიყენონ მექანიზაციის საშუალებანი, მცირე მექანიზაცია, იბრძოლონ ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ახსოვდეთ, რომ მეათე ხუთწლედი მარტო ეფექტიანობისა კი არა, ხარისხის ხუთწლედიც არის.

საქართველოს მეჩაიეებისადმი მილოცვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სოფლის მეურნეობის მშრომელებს უსურვა, რომ წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის პირველ წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი.

როგორ ვამთავრებთ ჩვენ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს?

თქვენ იცით, რა ძნელი, რთული აღმოჩნდა ეს წელი ცუდი ამინდების გამო.

მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის წარჩინებული მკრეფავი ამირან ტოროტაძე ლამის ჩაის საკრეფ მანქანას ეჯიბრება, იმდენად სწრაფად და ბევრ ჩაის ფოთოლს კრეფს...

და ეს უკვე პირველი ასეთი წელი არ არის. გავიხსენოთ: მეცხრე ხუთწლედის პირველი წელიც საერთოდ ნელსაყრელი არ იყო სოფლის მეურნეობისათვის. მაშინ, 1971 წელს, რესპუბლიკამ ვერ შეასრულა ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის, მზესუმზირას, სოიის, ეთერზეთოვანი კულტურების, ბოჩეულის, ველური ხილისა და სხვათა სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. ამან არსებითი გავლენა მოახდინა მეცხრე ხუთწლედში როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის განვითარების ტემპზე. წარმოქმნილი სპეციალენი მაშინ ვერ დავძლიეთ.

სხვაგვარად არის საქმე წელს. ჭირვეულ ამინდებს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დაუპირისპირეს მაღალი ორგანიზებულობა, საყოველთაო დარაზმულობა, ყველა წამოჭრილი პრობლემის ოპერატიული გადაწყვეტა. პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული მუშაობით განმტკიცებულმა მიწათმოქმედთა ბეჯითმა, თავდადებულმა შრომამ საშუალება მოგვცა მინიმალური ზარალით დაგვეღწია თავი სიძნელეებისაგან.

როგორია მიმდინარე წლის პროგნოზები?

სრულიად უეჭველია, რომ მეცხოველეობის პროდუქტების, მარცვლეულის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილის, ჭარხლის, ესე იგი თითქმის ყველა ძირითადი სახეობის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გეგმები და ვალდებულებები უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება.

სახელოვნად გაისარჯნენ ამ წელს რესპუბლიკის მხვნელ-მთესველები. მიღებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი. საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, მარნეულის, გორის, გარდაბნის რაიონების მიწათმოქმედებმა. აქ რეკორდული მოსავალი მოწეულა. კარგი პირი უჩანს სმინდის მოსავალს აბაშის, სამტრედიის, ხობის, გალის, ზუგდიდის, ცხაკაიას და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში. უუბანელ მიწათმოქმედთა

მადლობა შენ, მეჩაიეს დაუღალავო მარჯვენავ!

(დასასრული)

ლი ვალდებულებანი (წლიური გეგმისა და წინათ ნაკისრი ვალდებულების დამატებით) და დაამზადონ 7 ათასი ტონა ხორცი, 7 ათასი ტონა რძე და 10 მილიონი კვერცხი. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი მეცხოველეები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა პირნათლად შეასრულონ სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა.

წინანდელზე უკეთ მიმდინარეობს რესპუბლიკაში საკვების დაზზადება. უკვე საკმაოდაა მომარაგებული ზეგეგმითი სენაჟი. სადაც არის შესრულდება ყველა სახეობის უხეში საკვების დაკროვების გეგმა. მეურნეობებში ორგანიზებულად მიმდინარეობს საკვების დასილოსება და მზა სილოსის მიღება. ასე რომ, შეგვიძლია არ მოვხსნათ დღის წესრიგიდან ამოცანა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ დასახეს რესპუბლიკაში საკვების წლინახევრის მარაგის შექმნის შესახებ.

განსაკუთრებით მინდა მოვიხსენიო მევენახეობა, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა წლევანდელი უამინდობის გამო. ზამთარში არნახული ყინვა, გაზაფხულზე გადაუღებელი წვიმები, ზაფხულში სეტყვა — ყოველივე ამან ზვრებში, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, შექმნა იმის საშიშროება, რომ მასობრივად გავრცელებულიყო ვაზის მავნებელ-დაავადებანი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა ყურძნის მოსალოდნელი მოსავალი.

სპეციალისტთა გაანგარიშებით, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები სახელმწიფოს ვეღარ მისცემენ ათიათასობით ტონა ყურძენს. მაგრამ მეჩაიეებს ნუ ეგონებათ, თითქოს ეს იმიტომ ხდებოდეს, რომ მევენახეებმა, რომლებსაც ისინი ეჯიბრებიან, წელს თავი არ შეიწუხეს. ის კი არა პირიქით, წლეულს ვენახებს ორჯერ, სამჯერ მეტი შრომა მოახმარეს, ვიდრე ოდესმე, და სწორედ მევენახეთა ასეთ გარჯას უნდა ვუმადლოდეთ, რომ კიდევ უფრო მეტი ზარალი არ ვნახეთ.

რამდენმე სიტყვა მინდა მოგახსენოთ დასავლეთ საქართველოს მევენახეებზე. ყველამ კარგად იცით, რომ უკანასკნელ წლებში მათ საკმაოდ ხშირად ვაკრიტიკებდით: გეგმებს არ ასრულებენ, ძალების მთელი დაძაბვით არ მუშაობენო. წლეულს დასავლეთ საქართველოს მევენახეები დიდად გაისარჯნენ. მათ კარგად დაამუშავეს ვენახები, თანაც წარმატების მიღწევაში ამინდიც სწყალობდათ.

ახლა, როცა რთველი ფართოდ გაჩაღდა, გვინდა გამოვთქვათ მტკიცე რწმენა, რომ დასავლეთ საქართველოს მევენახეები თავიანთ სიტყვას იტყვიან.

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა — დახმარების ხელი გაუწვდინო იმას, ვისაც შეელა სჭირდება. რესპუბლიკის მევენახეებს არაერთხელ უშველიათ ჩვენი სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგებისათვის. როგორც ამბობენ, ვალი გადახდილი სჯობია! ახლა დადგა დრო, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმა შეიფასონ ეს გარეგვეგა, რომელიც შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში ყურძნის დამზადების გეგმის შეუსრულებლობის მიზეზით შეიქმნას.

ამ ჭეშმარიტად პატრიოტულ საქმეში პირველებმა შეიტანეს თავიანთი საგრძნობი წვლილი დღევანდელი ზეიმობის გმირებმა— ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა, რომლებმაც დაწესებული დავალების გადამეტებით სახელმწიფოს 36 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიჰყიდეს. ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ ამ კეთილშობილური ამოცანის გადაწყვეტაში თავიანთ შეძლებისდაგვარ წვლილს შეიტანენ აგრეთვე მხვნელ-მთესველები, მბადაები, მებოსტნეები, მეთამბაქოეები, მეცურტსეები, მეცხოველეები და მეჭარხლეები — ჩვენი მრავალმხრივი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის წარმომადგენლები.

ორგორც ანალიზმა ცხადყო, დიდი რეზერვები გვქონია საკონსერვო მრეწველობაში. თუ საკონსერვო მრეწველობის საწარმოები მთლიანად გამოიყენებენ ჩვენში არსებულ ხილ-ბოსტნეულ ნედლეულის რესურსებს, მაშინ ისინი შეძლებენ მოგვცენ მილიონობით მანეთის დამატებითი პროდუქცია. განსაკუთრებით უნდა გავაძლიეროთ მაღალხარისხოვანი საკვები პროდუქტების უმვირფასესი ნედლეულის — ველური ხილის დამზადების ტემპი. ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების დიდმნიშვნელოვან ამოცანად უნდა ჩაითვალოს ხილ-კენკრის დამზადების სანიმუშო ორგანიზაცია და დროული მიწოდება-გადამუშავება.

დაძაბული სასოფლო-სამეურნეო წელი სადაცაა დამთავრდება, მაგრამ მიწათმოქმედებსა და მეცხოველეებს საზრუნავი არ აკლდებათ. ახლა ყველაზე მთავარია ორგანიზებულად და უდანაკარგოდ დავამთავროთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღება. არ უნდა დავკარგოთ არცერთი კილოგრამი პროდუქცია, რომელიც სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგად არის მიღებული. პარტიული ორგანიზაციები ყველასა და თვითეულს უნდა ენერგავდნენ მოსავლის ბედისათვის, მისი საუკეთესო დაცვა-შენახვისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ გრძნობას. ყველაფერი, რაც ჩვენი მშრომელების მარჯვენით, ჩვენი ხალხის გარჯით არის მოყვანილი, საიმედოდ უნდა შევინახოთ. ყველანი განსაკუთრებით მკაცრნი და შეურიგებელნი უნდა ვიყოთ, როცა ვხედავთ, რომ არ უფრთხილდებიან, აკდებით ეკიდებიან ხალხის ნაამაგარს, იმას, რაც უდიდესი გარჯის ფასად არის მოპოვებული.

ჩვენი სოფლის მშრომელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია მრავალწლოვანი ნარგავების გაშენება. ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა უსახავენ ადგილობრივ ორგანოებს ამოცანას — შეასრულონ ბაღ-ვენახების გაშენების ხუთწლიანი გეგმა ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში, რათა ამ ფართობიდან უკვე მეათე ხუთწლედის დამლევისათვის მივიღოთ მოსავალი.

ამ დროს მეცხოველეებმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ სანიმუშო მზადებას პირუტყვის ზამთრობისათვის. კიდევ და კიდევ უნდა ვამოწმებედეთ, ყველაფერია თუ არა გაკეთებული პირუტყვის მაღრისი და თბილი გამოზამთრებისათვის. პირუტყვი შემოდგომაგაზაფხულის პერიოდშიც მაღალპროდუქტიული უნდა იყოს.

მომავალი წლის მოსავლის საფუძველი ამ შემოდგომის დღეებში იქმნება. საშემოდგომო და შუალედური კულტურების თესვა უნდა მოვაწყოთ ოპტიმალურ აგროტექნიკურ ვადებში, ვთესოთ მაღალხარისხოვანი თესლი. ორგანიზებულად უნდა ვაწარმოთ საშუშაოები, რათა დავიცვათ მრავალწლოვანი ნარგავები შესაძლო ყინვისა და გაზაფხულის სუსხისაგან.

დასასრულ ამბ. შევარდნაძემ თქვა, რომ რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო, ჩვენი ხალხის მაღალი შრომითი ენთუზიაზმი გვისახავს რწმენას, რომ უთუოდ განხორციელდება ყველაფერი, რაც დასახული გვაქვს პარტიის XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებით.

ამას აღუთქვამთ დღეს ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ხინბა. ჩვენ განსაკუთრებულ პატივად მიგვაჩნია, თქვა მან, რომ საქართველოს მეჩაიეთა მრავალათასიანი არმიის საუკეთესო წარმომადგენელთა ეს საზეიმო მიტინგი აფხაზეთში მომდინარეობს. დიდად მადლობელი ვართ იმისათვის, რომ გადაწყდა მთელი რესპუბლიკის დიდი ზეიმი სოხუმში აღნიშნულიყო.

საქართველოს მეჩაიეთა ახლანდელი გამარჯვება — ეს არის საქმით პასუხი ჩვენი რესპუბლიკის აყვავებისათვის პარტიის მუდმივ ზრუნვაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ დაუცხრომელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგი, რომ რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ძალები დარაზმის სკკპ XXV ყრილობის. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს მეჩაიეთა სასახელო წარმატებები, რომლებმაც შეძლეს ძნელ პირობებში პირნათლად შეესრულებინათ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, იმის ერთ-ერთი დადასტურებაა, რომ ცხოველმყოფელი და სწორია მტკიცე და უკომპრომისო კურსი, რომელიც სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავების საბოლოო ლიკვიდაციისათვის ხორცელდება.

სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით უახლოდებიან ხუთწლედის პირველი წლის ფინიშს აფხაზეთის მეჩაიეები და ჩაის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკები. 1970 წელთან შედარებით გაუძჯობესდა ჩაის ხარისხი — ჩაის ფოთლის 70 პროცენტი პირველ ხარისხად არის მიღებული. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დღეისათვის მოკრეფილი და დამზადებულია 65.396 ტონა ჩაი, ესე იგი სახელმწიფო გეგმასა და დამატებით დავალებაზე ხუთი ათას ტონაზე მეტი, ჩვენმა მეჩაიეებმა პირობა დაადეს ეახლოეს დღეებში ჩაის ფოთლის კრეფა გაზარდონ 66 ათას ტონამდე. ამდენი ჩაი აფხაზეთში არასდროს არ მოკრეფილა. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე უშუალოდ მივუახლოვდით მეათე ხუთწლედის დამლევისათვის გათვალისწინებულ დონეს.

საქართველოს მეჩაიეთა სასახელო წარმატება — ეს არის შესანიშნავი მისაბაძი მაგალითი, ეს არის საბრძოლო მოწოდება მევენახეებისადმი, მეცხოველეებისადმი, რეაბილიტაციის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებისადმი. უფრო უკეთ გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი, მთელი ძალ-ღონე და ენერგია მოახმარონ საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულებას.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა თ. ვ. ოსეფაიშვილმა ილაპარაკა წვლილზე, რომელიც რესპუბლიკის მეჩაიეთა საერთო წარმატებაში შეიტანეს იმ მეურნეობის მშრომელებმა, სადაც იგი მუშაობს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება, თქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის სოლოქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. პაპუნიძემ, აჭარელმა მეჩაიეებმა მოქმედების საბრძოლო პროგრამად მიიჩნიეს. გადაწყვიტეს რა სეზონის დამლევამდე კიდევ სამი ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფონ, ისინი სახელმწიფოს სულ ჩაბარებენ 51 ათას ტონა ნედლეულს და ბევრად გადააჭარბებენ მიჯნას, რომელიც დასახულია მეათე ხუთწლედის დამლევისათვის. წელს აჭარის ჩაის პლანტაციებში მიღებულია რეკორდული მოსავალი — 6.800 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი საშუალოდ ჰექტარზე. მოკრეფილი ნედლეულის საერთო მოცულობაში 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

აჭარელ მეჩაიეთა წარმატება ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელის წარმატებაა. მათ გაშალეს შეჯიბრება სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის და რუსთაველ მეტალურგთა მაგალითისამებრ ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ საქართველოს მშრომელთა ბრძოლაში მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

დღეს ჩვენ კანონიერი სიამაყის გრძნობით ვლაპარაკობთ აჭარელი და აფხაზი მეჩაიეების მეგობრობასა და სოციალისტურ შეჯიბრებაზე, განაგრძო ამხ. პაპუნიძემ. ეს მეგობრობა და შრომითი მეტოქეობა გადამწყვეტი იყო დიდი ჩაისათვის ბრძოლის წარმატებაში.

— ჩაის პლანტაციები ჩვენთვის მარტო საზოგადოებრივი დოვლათისა და მშრომელთა პირადი კეთილდღეობის წყარო კი არ არის, არამედ თავის საქმეზე შეყვარებულ მიწათმოქმედთა, მექანიზატორთა, სპეციალისტთა შრომითი დიდების ისპარეზიც არის, — თქვა გალის რაიონის ზემო ბარგების ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა მ. მ. ბუთბაიამ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გეხერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მისალმებამ ერთნაირად აღაღლვა თვითეული მიწის მშრომელი.

დღევანდელ დღესასწაულზე ხელაღიღული არ მოსულან გალელი მეჩაიეები. სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა პირნათლად შეასრულეთ. რაიონის მეურნეობებში უკვე მოკრეფილია 33.860 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს წლიურ დავალებაზე 3.200 ტონით მეტია. საერთო მოსავლიდან ჩაის 70 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისაა, ყოველი მეხუთე კილოგრამი ფოთოლი მექანიზმებით არის მოკრეფილი.

— მნიშვნელოვანია მახარაძელთა წვლილი ქართველ მეჩაიეთა საერთო გამარჯვებაში. რაიონის მეურნეობებში მოკრეფილია 61 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. ეს 6 ათასი ტონით აღემატება წლის დამდეგს ნაკისრ ვალდებულებებს, — თქვა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. ს. მალაზონიამ. — ჩვენში წელს შეუპოვრად იბრძოდნენ ქართული ჩაის მაღალი ხარისხისათვის. რაიონში გრძელდება ბრძოლა ხუთწლედის დიდი ჩაისათვის. სეზონის დამლევამდე მახარაძელი მეჩაიეები სამშობლოს დამატებით მისცემენ 500 ტონა ხარისხოვან ფოთოლს.

— 34.500 ტონა „მწვანე ოქრო" — ასეთია ქობულეთელ მეჩაიეთა წვლილი, საქართველოს მეჩაიეთა წარმატებაში, — თქვა ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიემ მ. პ. გიორგაძემ. — ეს 1.600 ტონით მეტია, ვიდრე დამზადებული იყო გასული წლის შესაბამის პერიოდში. ამასთან დამზადებული ნედლეულის 71,1 პროცენტი ჩაის ფაბრიკების პირველი ხარისხით ჩაბარდა. ჩაის ფოთლის საშუალო ჰექტარობრიგმა მოსავლიანობამ რაიონში 7.160 კილოგრამს ჭადაჭარბი. ჩაისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმაც, სადაც მე ვმუშაობ. მათ რაიონში პირველმა ჯერ კიდევ 7 აგვისტოს უპატაჯეს სამშობლოს გეგმებსა და გადიდებული ვალდებულებების შესრულება. პირველი წარმატებებით ფრთაშესხმულმა საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებმა ახალი ვალდებულება იკისრეს — გადაწყვიტეს სეზონის დამლევამდე კიდევ 500 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი მიეცათ სამშობლოსათვის. ამ მიჯნასაც მივაღწიეთ. დღეს ოჩხამურელები უპატაჯებენ, რომ მათ 4.611 ტონა ნედლეული მოკრიფეს. ამაში ჩემი შრომის წილიც არის. პირადად მე ხელის აპარატით 11 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფე, გეგმით გათვალისწინებული ხუთი ტონის ნაცვლად.

— ღირსშესანიშნავია, რომ ქართველმა მეჩაიეებმა წარმატებას მიაღწიეს სკკპ ისტორიული XXV ყრილობის წელს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების წელს, რომელშიც შეჯამებულია იმ დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგები, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ეწევა, რათა რესპუბლიკის მშრომელები დარაზმოს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად, — თქვა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თ. თოდუამ, — რაიონის ჩაის პლანტაციების მშრომელებმა, ჩაის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება გაანაღიეს ხუთწლედის დიდი ჩაისათვის მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი გეგმა-ვალდებულებანი.

ალმა-ათაში პარტიულ-სამეურნეო აქტივზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის პასუხად ზუგდიდელმა მეჩაიეებმა ქვეყანას წინათ ნაკისრი ვალდებულებების დამატებით 1.400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მისცეს.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა-ვალდებულების წარმატებით შესრულების გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მილოცვით ფრთაშესხმულმა მშრომელებმა გადაწყვიტეს სეზონის დამლევამდე კიდევ ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფონ. ამრიგად, ზუგდიდელი მეჩაიეები წელს სამშობლოს მისცემენ 6.200 ტონა ზეგეგმითს „მწვანე ოქროს". დღეისათვის რაიონში უკვე მოკრეფილია 48 ათას ტონაზე მეტი ჩაი, რაც სამი ათასი ტონით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. დაახლოებით 16 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი მექანიზმებით არის მოკრეფილი.

თბილისის მუშათა კლასის სახელით მიტინგის მონაწილეებს მხურვალე მიესალმა ვალერი ბოლოცაი „კრწანისის" ბრიგადირმა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა მ. ვ. აბულაძემ. — თქვენი გამარჯვება, — თქვა მან, — საქართველოს ყველა მშრომელის გამარჯვებაა. ეს გამარჯვება იმიტომ არის სასახელო და ღირსშესანიშნავი, რომ იგი მოპოვებულია მეათე ხუთწლედის სტარტზე. ჩვენ, მუშები, თქვენთან ერთად ვიზიარებთ იმ დიდ სიხარულს, რომელიც თვითეული პატიოსანი მშრომელის გულში გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებამ. ნება მიბოძეთ ამ ყველასათვის ასასიხარულო დღეს ჩაგაბაროთ ჩვენი მუშური პატაჯი. დედაქალაქის მრეწველობამ ვადამდე, 26 სექტემბრისათვის შეასრულა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და ოფლაზაციის ცხრა თვის გეგმა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმარონ, რათა შეასრულონ მეათე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო დავალებანი, შემხვედრი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

სიტყვა ეძლევა ოჩამჩირის რაიონის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების გენერალურ დირექტორს ლ. მ. ხარებავას.

— ამ დღეებში, — თქვა მან, — როცა მთელი რესპუბლიკა პატივს სცემს მწვანე პლანტაციებში გაჩაღებული ალოობის გმირებს, ჩვენი გაერთიანების ჩაის ფაბრიკების მუშები ნედლეულს იღებენ და ამუშავებენ გადიდებული ვალდებულებების ანგარიშში. მიღწეული წარმატებანი ფრთას გვასხამს: გაერთიანების ისეთი ჩაის ფაბრიკების მოწინავე კოლექტივებმა, როგორიც არის გუდაუთის, დრანდის, ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკები, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზით სახელმწიფოს 740 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. დ. ლორთქიფანიძემ ილაპარაკა რესპუბლიკაში მეჩაიეების განვითარებაზე, იმ დიდ წვლილზე, რომელიც ამ საქმეში ქართველმა მეცნიერებმა შეიტანეს.

— ამ დღეებში, როცა რთველი მიმდინარეობს, — მიმართა მიტინგის მონაწილეებს ზეტაფოლის რაიონის სოფელ მეორე სეირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. მ. თუთარაშვილმა, — თქვენი გამარჯვება ახალ წარმატებებს შთაგვაგონებს. რაიონის მევენახეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს გეგმით გათვალისწინებული 21 ათასი ტონის ნაცვლად 22 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდონ სახელმწიფოს. ჩვენი კოლმეურნეობის მევენახეებმა პირველმა გადალახეს თავიანთი ვალდებულებანი და გადაწყვიტეს 660 ტონის ნაცვლად 800 ტონა ყურძენი ჩაბარონ.

მეჩაიის პროფესია ჩვენს რესპუბლიკაში საპატიოა, — თქვა საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ნ. ფაჩუაშვილმა, — განსაკუთრებით პოპულარულია იგი ახალგაზრდობაში, რომელიც დღებისა და მამების სახელოვან ტრადიციებს განაგრძობს. ახლა რესპუბლიკის სამი ათასამდე კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი, რომლებიც 70 ათასზე მეტ ქალიშვილსა და ჭაბუკს აერთიანებს, მწვანე პლანტაციებში შრომობს, დღეს ჩვენ გიპატაჯებთ, რომ წელს მეჩაიეობის მეურნეობაში შრომითი სემესტრი ათიათასობით უფროსკლასელმა და სტუდენტმა გაიარა. მათ არა მარტო მოკრიფეს ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, არამედ შრომითი ჩვევებიც შეიძინეს.

მიტინგის მონაწილეებს მიესალმა პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფთოვანებით გაუგზავნეს წერილი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. (საქართველო).

ამოფრქვევის აქტიური ეროვნული ფაქტორები

საკდესი და უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

ფაქტორები

პრობლემები

1 ოქტომბერი

დისკუსია გრძელდება

გენერალური ასამბლეის სესია

ნიუ-იორკი, (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXI სესიაზე განაგრძობენ ზოგადპოლიტიკურ დისკუსიას. შრი ლანკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა სირიმავო ბანდარანაიკემ, რომელიც მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის თავმჯდომარის სახელით გამოვიდა, აღნიშნა, რომ მსოფლიოში მიმდინარე დაძაბულობის შენელების პროცესი პოზიტიური ნაბიჯია მშვიდობის, ხალხთა თანამშრომლობისა და საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღების გზაზე. დაძაბულობის შენელებას, ხაზი გაუსვა მან, ახალი ტაბიული მისცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა და მისი საბოლოო აქტის ხელმოწერამ.

ს. ბანდარანაიკემ მკაცრად დაკმა სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმები, რომლებიც ხელს უშლიან ზიმბაბვესა და ნამიბიის ხალხთა გაუყოფელ უფლებას — თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლებას.

შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა. მან თქვა, რომ ხალხთა მეცადინეობის წყალობით მსოფლიოში ახალი სიტუაცია შეიქმნა, ბოლო მოეღო „ცივ ომს" და გადადგმულია მთელი რიგი კონსტრუქციული ნაბიჯები საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე.

შეერთებული შტატების აზრით, განაცხადა ჰ. კისინჯერმა, კაცობრობის მომავალი მთავარ მოოთხოვნილებად საბჭოთა კავშირთან თანაარსებობას, მასთან უფრო კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარებას. ამის გამო მან აღნიშნა, რომ „შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის უმთავრესი პრობლემაა".

ჩვენ უპრეცედენტო შეთანხმებებს მივაღწიეთ ატომური შეიარაღების შეზღუდვისა და ამ შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ, განაგრძო ჰ. კისინჯერმა. ისტორიულ ღონისძიებებს მივმართავთ იმისათვის, რომ ორივე მხარის სტრატეგიულ არსენალებს ზღვარი დავუდოთ ვლადივოსტოკის მორიგების შესაბამისად.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ვაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგენერალური ასამბლეის ტრიბუნა იმისათვის გამოიყენა, რომ გაეგება უსაფუძვლო მსჯელობა, თითქოს დაძაბულობის შენელება რაღაც „საშიშროებას" შეიცავდეს. კისინჯერს ამკარად მხედველობაში ჰქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებანი, რომლებსაც ბოლო ხანს მიაღწიეს აფრიკაში. და ამტკიცებდა, „ეს ღონისძიებანი მხოლოდ გაზრდიან დაძაბულობას და ურთიერთობის გაუმჯობესების პოლიტიკასთან მათი შეთავსება შეუძლებელიაო".

ჰ. კისინჯერი ვრცლად შეეხო თავის ამასწინანდელ მოლაპარაკებას სამხრეთ აფრიკის რასისტულია და როდეზიის რასისტებთან და ამტკიცებდა, ამ დროს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მშვიდობისა და სამართლიანობის" ინტერესებით ვსულმძღვანელობდიო.

შეერთებული შტატები, განაცხადა ჰ. კისინჯერმა, იმის მომხრეა, რომ ნამიბიას მალე მიენიჭოს დამოუკიდებლობა. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ვაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგენერალური ასამბლეის ტრიბუნა ამისათვის გამოიყენა, რომ ნამიბიის დამოუკიდებლობა 1976 წლის 31 აგვისტომდე მინიჭებოდა. ამ საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი ცდილობს წინააღუდგეს უმრავლესობის მოთხოვნას, რომლის თანამმხრეა ყოველგვარი საშუალებებით, მათ შორის სანქციებითაც უნდა აიძულონ სამხრეთაფრიკელი რასისტები დაუყოვნებლივ შეასრულონ უშიშროების საბჭოს ვადაწყვეტილება.

ინტეგრაცია მოქმედებს

უნგრეთი. საბჭოთა ქარხნებთან კოოპერაციის წყალობით „რაბას" მანქანათმაშენებელ საწარმოში შეიქმნა უნიფიცირებული კვანძების მსხვილი წარმოება. ამან საშუალება მისცა უნგრეთის ქარხანას საგრძნობლად გაეზარდა პროდუქციის გამოშვება, გაეფართოებინა მისი ასორტიმენტი.

„რაბას" ბუდაპეშტის ფილიალი ამჟამად უშვებს მძლავრ კომფორტულ ტრაქტორებს. წლეულს მისი კონვეიერიდან ჩამოვა 600 ასეთი მანქანა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის. ტრაქტორის მაქსიმალური სიმაღლეა 2,5 კილომეტრი ხაოანი, მძღოლის კაბინაში მაერი კონდიცირებულია.

სურათზე: ახალი მარკის ტრაქტორები ქარხნის ეზოში.

მტი-საკდესის ფოტო.

ინფორმაციის ლიბანში

ფიცხელი ბრძოლები

ბეირუთი. (საკდესი). მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში და წუხელ ლიბანის მთიან რაიონებში ქრისტიანულმა ძალებმა მაერიანელ ქრისტიანთა სამხედრო ნაწილები უტევდნენ ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის პოზიციებს.

როგორც ბეირუთის რადიომ გამოაცხადა, მთებში ფიცხელი ბრძოლებია. ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ნაზმები ეგერიებენ მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებს, რომლებიც თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით არიან აღჭურვილი.

„ას-საფირი" და ბეირუთის სხვა გაზეთები დღეს იუწყებიან, რომ სირიის ჯარებმა და მემარჯვენე ქრისტიანულმა ძალებმა მაერიანელი ქრისტიანთა ძალებსა და ლიბანის რამდენიმე სოფელი. ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის რაზმები ლიბანის მთებში მძიმე მდგომარეობაში არიან, მაგრამ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ მტერს. ორგორც პრესა იუწყება, მხარეებს დიდი ზარალი მოსდით.

ინდოეთი

სავსებით იწონებენ

ბონი, (საკდესი). დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა მიესალმება გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების ჰელსინკის მსოფლიო კონფერენციის შედეგებს.

აქ გამოქვეყნდა გერმანელთა მშვიდობის კავშირის დირექტორატის განცხადება.

კავშირის დირექტორატი აღნიშნავს, რომ ჰელსინკში შემუშავებული წინადადებანი განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის, საერთაშორისო ურთიერთობების ძალის გამოუყენებლობის, უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისა და ატომურ ზონების შექმნის, აგრეთვე სამხედრო ხარჯების შემცირების და ატომური იარაღის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ სავსებით შეესაბამება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესებს.

გერმანელთა მშვიდობის კავშირი ხაზს უსვამს, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა თანამედროვეობის მთავარი ამოცანაა.

ჯ. ფორდის კიდევ ერთი ვეტო

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა ვეტო დაადო კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს 56,6 მილიარდი დოლარის გამოყოფას შრომითი მოწყობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური დახმარების პროგრამებისათვის. როცა დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ საჭიროებებისათვის გამოყოფილი სახსრები, რომლებიც კონგრესმა მოიწონა, „გაბერილია".

ამერიკელმა მიმომხილველებმა გამოთანგარიშეს, რომ ეს უკვე 56

1976: მხატვრის ალბომიდან



ფინიშთან პირველი

გ. ლომიძის ნახატი.

საქართველოს ჭიათ-ბაღში

ძეგლთა რესტავრაცია

მესხეთი. (საკ. კორ). ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. აქ ყოველწლიურად ჩამოდიან და მუშაობენ აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები, მათ შორის ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ეთნოგრაფები, ხელოვნებათმცოდნეები. მათი ბრძანებით შედეგად რაიონის ისტორიული ძეგლები დაცულია განადგურებისაგან. ამჟამად მიმდინარეობს უშგულის, კალის, ლეხთაგის, ლაღამის, მუჟალის, წვირმის და სხვა სოფლების ეკლესიებისა და კოშკების სარესტავრაციო სამუშაობი.

გ. ნოდია.

მკითხველის კალმით

☐ **ასპინძა.** რაიონის კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა (ხელმძღვანელი ვ. თურქაძე) მესხეთის მთების ხშირი სტუმარია. ამას წინათ მათ ასპინძის, თოკის, ხიზაბავრის, დამალის, ვარგავის კოლმეურნეობების მეცხოველეებს და საკვებმომპოვებლებს კონცერტები გაუმართეს.

ნ. ოჟრიბაძე.

☐ **ტყიბული.** მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე აღმართულ მთის კალთებზეა შეფენილი სოფელი კიროვი, სადაც ახალი საბავშვო ბალნეოლოგიური აგარაკი აშენდა. აქ მინერალური წყლის აბაზანებს ერთდროულად იღებს თხუთმეტი ავადმყოფი.

ც. ვასაძე.

☐ **ქობულეთი.** ზღვისპირა, თვალწარმტაცი სოფელია ჩაქვი. ახლახან იგი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამსახურთულიანმა კომბინატმა დაამშვენა.

ო. კონცელიძე.

☐ **ამგროლაური.** რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა 600 გრამი ფურიდან სახელმწიფოს 1540 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ბრეშუმის პარკი ჩააბარეს. გეგმა-ვალდებულება კი 1400 კილოგრამს ითვალისწინებდა. გარდა ამისა, მათ საკვებმომპოვებელთა ბრიგადებიც შექმნეს. მოსწავლეებმა საზოგადოებრივი მეურნეობისათვის უკვე 100 ტონა სურნელოვანი თივა დაამზადეს. ისინი ახლაც ეხმარებიან კოლმეურნეებს.

აკ. კერესელიძე.

„საგჭოთა ხელოვნება“ № 9

ბევრ საინტერესო და საყურადღებო მასალას აწვდის მკითხველს ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ თავის მე-9 ნომერში.

არ. ჩიქობავას წერილი ეძღვნება ი. გოგებაშვილის „დედა-ენის“ მე-100 წლისთავს. ჟურნალი ბეჭდავს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მერვე ყრილობაზე წაკითხულ ზოგიერთ მოხსენებას, ი. იმედაშვილის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ მასალებს.

მკითხველი ინტერესით გაეცნობა გ. ორჯონიკიძის, კ. მაჩაბლის, ვ. ქართველიშვილის, გ. მაღულარიის, თ. სანაიძის, ლ. ფრუიძის წერილებსა და სტატიებს, ლადო გუდიაშვილის მოგონებებს და ჟურნალისტიკის ცხოვრების მრავალფეროვან ჭრილიკას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნ. ე. ჯახრაკიას დასაკრძალავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან ამხანაგები: ნ. ა. ლანდია (თავმჯდომარე), ი. ო. ანდრიაძე, ს. ი. გამრეკელი, დ. ვ. გოგობერიძე, ნ. ა. ჟვანია, თ. გ. ზარგინავა, ვ. კ. ჭიჭინაძე.

ნ. ე. ჯახრაკიას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ჩაი ჩემს ცხოვრებაში

სტრიქონები ჩაის სახლის შთაბეჭდილებათა წიგნიდან

თბილისის „ჩაის სახლის“ დირექტორი ნუნუ ნებიერიძე თავის კაბინეტში შთაბეჭდილებათა უამრავ წიგნს ინახავს. მათ შორის არის წლევანდელი წიგნი, რომელშიც საბჭოთა და მსოფლიო სხვადასხვა ხალხის ენაზე ქართული ჩაის შესახებ ბევრი საინტერესო ჩანაწერია.

მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

ჩაქვის ჩაის პირველ ფაბრიკაში მუშაობის დროიდან გამიყვა ქართული ჩაის სიყვარული. ამ ფაბრიკაში დაინერგა ჩემი მეთოდი — წარმოების ბიოქიმიური პროცესების კონტროლი.

მთელი გულით გისურვებთ წარმატებას ჩაის სახლის მესვეურებს. ჩაი ჩემი საყვარელი სასმელია, იგი მხნეობას მმატებს. ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ შემდგომ წარმატებას თქვენს დაუღალავ და სასარგებლო შრომაში.

აკადემიკოსი ა. ოპარინი.

რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხები თავს ხრიან ქართველი მეცნიერებისა და ჩაის პლანტაციების მშრომელების წინაშე. ისინი ადამიანს — ახალგაზრდასა და ხანდაზმულს — ეხმარებიან ელვისებურად მოუმატონ სიმხნევე, უცებ გახდნენ სიცოცხლის მოტრფიალენი და შრომისუნარიანნი. გეშმს, რომ უახლოეს მომავალში ჩაის ყველა თაყვანისმცემელი მეცნიერი თუ პრაქტიკოსი გაგვახარებს ახალი სურნელოვანი ბუკეტის მქონე უფრო მაღალხარისხოვანი ჩაით, რომელიც საოკუნეებში გაითქვამს სახელს.

ე. ბელიაკი,
სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი.

თქვენს სტუმართმოყვარე სახლში, ერთხელ კიდევ დავტკბეთ მშვენიერი ქართული ჩაით, რომელსაც ეთაყვანება და უყვარს მთელ ჩვენს ხალხს.

ქართული ჩაი სიცოცხლის შეანშშნავი ელექსირია და არანაკლებ შესანშშნავი არიან ამ სახლში მომუშავე ადამიანები.

ვ. კლუჩეკი,
მოსკოვის სატირის თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი;
ო. აროსევა, ნ. ზაშჩიკინა, ბ. რუნგე,
რსფსრ დამსახურებული არტისტები.

„ჩაის სახლში“ უდიდესი კმაყოფილება ვიგრძენით. აქ შესანშშნავი ხარისხის ჩაია. ნამდვილად დაეტკბით ქართული ჩაის ბაშნიკით. „ჩაის სახლში“, ისევე როგორც თვით თბილისში ყოფნა, მეტად სასიამოვნო იყო.

ე. ნაიკი,
პაკისტანის საგარეო ვაჭრობის მინისტრი.

ჩვენ, ინდოეთის დელეგაცია, თბილისში ვიზიტით ყოფნის დროს ვეწვიეთ „ჩაის სახლს“. ამ სახლმა პირდაპირ გაგვაოცა ქართული ჩაის მრავალფეროვნებით. ქართულ ჩაის აქვს შესანიშნავი გემო, სურნელი.

გავიცანით აგრეთვე, ჩაის მექანიზებულ შეფუთვას, რომელმაც ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

სტუმრები ინდოეთიდან.

სურათზე: თბილისის „ჩაის სახლში“ ყოველთვის სტუმართმოყვარეობაა.

ბ. სანაიას ფოტო.



ამინდი

გუშინ, 13 საათზე ყველგან უნალექო ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 21 გრადუსი გაგრაში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 18-20, მთებში 13-15 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 20-24, მთებში 10-15 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ, 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 25 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, წვიმა, ელჭექი, იქროლებს დასავლეთის ქარი, დაბლობ რაიონებში 16-21, მთებში 8-13 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დასავლეთ რაიონებში მცირე წვიმა. მტკვრის ხეობაში დასავლეთის ძლიერი ქარი იქროლებს, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 18-23, მთებში 5-10 გრადუსი.

თბილისში მცირე წვიმაა მოსალოდნელი, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 21-23 გრადუსი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

□ 4 ოქტომბერი

10.30 — მულტიპლიკაციური ფილმები: „ნარინჯისფერი უელი“, „მწვანე ბილიკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „აშკარა — დაუჯერებელი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „კინომოგზაურობის კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.50 — „ცეროდენას ეკრანი“,
18.20 — განცხადებები,
18.25 — „მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალური საკითხები“. საუბარი „ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ერთიანობა კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაში“,
18.45 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.05 — კინოჟურნალი,
19.15 — „პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე“,
19.30 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვარსკვლავებისაკენ“,
21.05 — კინოჟურნალი „სოფლის მეურნეობა“ № 2 (ქართული ენაზე),
21.25 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — მხატვრული ფილმი „ბრძოლა გამარჯვების შემდეგ“ (I სერია). დასასრულ — ახალი ამბები.

13.45 — მხატვრული ფილმი „წინააღმდეგობათა საიდუმლო“,
15.10 — „ეესახელო ოსტატებო, ნაკვალევზე“ — სოფიო მირზაშვილი (გამოცხადება),
15.40 — დოკუმენტური ფილმი „ბაკურიანის უფლება“,
16.40 — „ჯანმრთელობა“. საგეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.10 — „გზაში „ოქტომბერი“ პოლიტიკური მიმოხილველის ი. ეუკოვის საუბარი საერთაშორისო თემაზე. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.00 — „ადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,
18.45 — „ტრადიცია და თანამედროვეობა“,
19.15 — „70-იანი წლების ამერიკა“ — „ორი ნიუიორკი“. ფილმი მეცხრე. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.40 — „კომუნისტი, დრო, პრობლემები“ — „გურჯაანელ კომუნისტებთან“,
21.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კუზმა პეტროვ-ვოდკინი“,
21.20 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე“,
22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ფრონტი უფლანგებოდ“ (II სერია). ფერადი გამოსახულებით.

□ 5 ოქტომბერი

10.30 — „მოსკოვის ზოოპარკში“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი — „ციმბირი“. (I სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.35 — „ღიერის ედუარდ ჰილი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.00 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა,
17.35 — განცხადებები,
18.25 — მოსწავლეთათვის „მეგობრობის გზებით“ — „მზიური“ რუმინეთში (განმეორებით),
19.00 — „განვახორციელოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი“ — „ერთი სოფლის ავ-კარგი“,
19.20 — „ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო“,
20.00 — „ხელოვნების ფესტივალი“ — საბჭოთა ამერიკაკასიის მელოდიები“. საზეიმო განცხადება (პირველი განყოფილების ტრანსლაცია ბაქოდან),
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — სპორტული მიმოხილვა,
21.55 — „ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე“.
22.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ხელოვნების ფესტივალი“ — „საბჭოთა ამერიკაკასიის მელოდიები“. საზეიმო განცხადება (მეორე განყოფილების ტრანსლაცია ბაქოდან),

□ 6 ოქტომბერი

10.30 — მეშვიდე კლასელთათვის. ფიზიკა (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.55 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ციმბირი“ (II სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.25 — „ადამიანი და კანონი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.55 — დოკუმენტური ფილმი „მოზარდი“,
17.05 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა,
17.35 — განცხადებები,
18.25 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უნივეულო კვირადღე“,
19.25 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე ჯავახიშვილი“. პრემიერა,
20.50 — „ფიზიკის ინსტიტუტში“.
21.35 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე“,
22.40 — მხატვრული ფილმი „ბრძოლა გამარჯვების შემდეგ“ (II სერია).

□ 7 ოქტომბერი

10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უფროსები“,
11.15 — ეკრანზეა კინოკომედია. მხატვრული ფილმი „საქმიანი ხალხი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.35 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.45 — განცხადებები,
17.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე ჯავახიშვილი“,
18.25 — „ადამიანი და გარემო“,
18.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.15 — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა. ფერადი გამოსახულებით. (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე“,
22.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „კარპატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (თბილისი). 7 ოქტომბრის მატჩის ვიდეოჩანაწერი. დასასრულ —ახალი ამბები.

□ 9 ოქტომბერი

10.30 — „ხელმარჯვე ოსტატები“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „თქვენთვის, მშობლებო“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ციმბირი“ (III სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.00 — „შევისწავლოთ ქართული ენა“,
13.45 — „ბავშვთა ეროვნული ანსამბლი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
14.40 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.40 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.40 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.10 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.00 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.45 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.15 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.10 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.40 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
21.05 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
21.20 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.40 — „ბავშვობა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),

□ 10 ოქტომბერი

10.30 — „მაღვიძარა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა“,
11.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანები, შრომა, შემოქმედება“,
12.00 — პირველად ჩვენს ეკრანზე. ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ვეერონიკა დაგვიბრუნდა“,
13.30 „სოფლის საათი“ — სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
14.30 — „მუსიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.00 — „კინოფიშა“,
15.30 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე),
15.50 — „საჭიდრაკო სკოლა“,
16.20 — „კინოს მოყვარულთათვის“,
17.20 — კინონარკვევი,
17.45 — „საერთაშორისო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.15 — „ცირკის არენაზე“. შვეიცარია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.00 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა,
19.35 — „კინომოგზაურობის კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.50 — საესტრადო კონცერტი,
21.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „საშინელებათა ღამე“ — სერიიდან „ამ საღამოს — ფერნანდელი“ (იტალიო-საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.10 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე“,
22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე ქართული მხატვრული ფილმი „მშვიდობიანი დღეები“.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

2 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყურადღება, ბუნება“, 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „შევისწავლოთ ქართული ენა“, 12.15 — ქართული სატელევიზიო მუსიკალური ფილმი — „ალექსი მაჟავარიანი“, 12.40 — მუსიკალური პროგრამა — „დილის ფოსტა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი, 13.40 — „ბუსახდილი საუბარი“ (განმეორებით), 14.40 — გასართობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის, 15.40 — შრომა და დასვენება — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი (ვანმეორებით), 16.10 — დოკუმენტური ფილმი „თქვენ გელოდებით“, 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — „ჩვენი სტუმრები“, 18.00 — დოკუმენტური ფილმი — „შეხსენება“, 18.15— „სვანეთის კულტურის ძეგლები“ (განმეორებით), 18.55 — მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ოცნებების პალიტრა“. ფერადი გამოსახულებით, 19.05 — „მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების პირველი საკავშირო ფესტივალის შესახვედრად“ — ჩხოროწყუს რაიონის თვითმოქმედება, 19.45 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 20.15 — „70-იანი წლების ამერიკა“ „მისისიპის ნაპირებზე“. ფილმი მეოთხე. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — „ფილმის დიადება“ ალექსანდრე მეტრეველი. ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“.

მეორე პროგრამით

18.05 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.35 — სატელევიზიო ჟურნალი — „მოზაიკა“, 19.35— მხატვრული ფილმი „ჩემი მეგობრები“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

2 ოქტომბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **მფრინავი კოლანდილი** (მე-13 აბონ. მე-7 წარმ.), კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მარტოობის დღესასწაული (ფირუსმანი).** ახალგაზრდული დრამატული თეატრი — **სტუდია** (მეტეხის ტაძარში) — **უგულებელბა.**

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი, საქართველოს და თბილისის აკად. გ. მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოებები და ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

გივი პარმენის-ძე ეთერია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატი. პარტიული კომიტეტი, გაერთიანებული პროფკომი და შავი ლითონების მეტალურგიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 67 წლის ასაკში ვარდაიცვალა სკკპ წევრი 1939 წლიდან „წითელი ვარსკვლავის“ ორდენოსანი, შავი ლითონების მეტალურგიის კათედრის დოცენტი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

სოფიო გიორგის ასული სამხარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კომუნისტი 380096 თბილისი-96 ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03. 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80. სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61 პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-84. სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების. უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 УЭ 13900

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14